



საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა ევროკავშირ-საქართველოს 2014 წლის ასოცირების
ხელშეკრულების მიხედვით

ნინო ბოჭოიძე

გოჩა მიქაუტაძე

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: nino00bochoidze@gmail.com
gocha.mikautadze408@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ენერგეტიკას დიდი როლი უჭირავს ქვეყნის მდგრად განვითარებასა თუ ეროვნულ უსაფრთხოებაში. ენერგეტიკული პოლიტიკის ეფექტური წარმოება განსაზღვრავს ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებს როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე სახელმწიფოს შიგნით. ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ენერგეტიკის სფეროში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად აჩქარებს, ვინაიდან თანამედროვე ევროპის დიდი ყურადღება სწორედ ენერგეტიკის სფეროს ეთმობა. ჩვენი სტატია მიმართულია საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის განხილვის მიზნით, რაც განპირობებულია დარგში კვლევების სიმცირით. აღნიშნული კუთხით საზოგადოების ინფორმირებულობა ზოგად ინტერესს წარმოადგენს, რამაც გვებიძვა გვეკვლია საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დინამიკა ეკონომიკურ განვითარების კვალდაკვალ.

ნაშრომის ფარგლებში ვიკვლიეთ ასოცირების ხელშეკრულებით დეკლარირებული ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელების პროცესი საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობის ჭრილში. კვლევისას გამოიკვეთა, რომ საქართველო ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დიდ ნაწილს ეფექტურად ასრულებს, თუმცა გარკვეული რეგულაციების განხორციელებისას მას ხვდება გამონწვევები, რომლებიც ვალდებულებების დროულად შესრულებას უშლის ხელს. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა ეტაპობრივი ხასიათისაა, რომლის შედეგსაც იგი დროთა განმავლობაში აუცილებლად მოიძიებს. თავის მხრივ, ევროკავშირის ინტერესში შედის საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. სწორედ ამიტომ, გამონწვევებთან და წინააღმდეგობასთან გასამკლავებლად, იგი მას აქტიურად უჭერს მხარს. ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, 2014 წლიდან დღემდე, ენერგეტიკული კუთხით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის და ევროკავშირში ინტეგრაციისთვის არსებითი ფუნქციის მატარებელია.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკურ განვითარება, ასოცირების ხელშეკრულება, ენერგეტიკული პოლიტიკა, ენერგოუსაფრთხოება, ენერგოეფექტურობა.

შესავალი

სტატია ეძღვნება საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის შესწავლას, რომელსაც იგი „ასოციირების შესახებ შეთანხმების ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2014) ფარგლებში ახორციელებს. კვლევის მიზანია, განისაზღვროს, პერსპექტივაში რამდენად შეიძლება მოცემული პოლიტიკის წარმატება თუ წარუმატებლობა განაპირობებდეს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას. ამოცანად კი განისაზღვრა საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის გაანალიზება ასოციირების ხელშეკრულების პოლიტიკის დოკუმენტზე ხელმოწერიდან დღემდე. კვლევის მიზანსა და ამოცანას რომ ვუპასუხოთ, მიგვაჩნია, რომ პასუხი უნდა გავცეს შემდეგ საკვლევ კითხვებს: რამდენად ეფექტურად გამოიყენა საქართველომ მის ხელში არსებული ინსტრუმენტები აღნიშნული პოლიტიკის წარმატებით დასაწერად და რამდენად აქტიურად იყვნენ ჩართულები მის განხორციელებაში ევროპელი აქტორები (კერძო ინვესტორები, მთავრობები, გრანტები და ა.შ.). მოცემული პროცესი რომ გავიგოთ, კვლევის მთავარ ობიექტად გვესახება საქართველოს მიერ 2016-2020 წლებში ასოციირების ხელშეკრულებით ენერგეტიკის სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესწავლა. ენერგო სექტორში ორმხრივი თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის აძლიერებს ქართული მხარის პერსპექტივას მეტად დაუახლოვდეს ევროპულ ოჯახს არა მხოლოდ ენერგეტიკული კანონმდებლობით, არამედ ღირებულებებითაც. ენერგეტიკის, როგორც სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი და განვითარებადი დარგის კვლევა ევროინტეგრაციის დაჩქარების ჭრილში, საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ის ძირითადი მიღწევები და გამოწვევები, რაც საქართველოს ენერგო პოლიტიკას გააჩნია.

ლიტერატურის მიმოხილვა

პირველყოფლისა, კვლევის დასაწყისში გაანალიზდა 2014 წელს ხელმოწერილი ასოციირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. აღნიშნული ხელშეკრულება არის სამართლებრივი ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთ თანამშრომლობის პრინციპზე დამყარებულ ინტერაქციას. 2016 წელს ხელშეკრულების ძალაში შესვლას წინ უძღოდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წელს მიღებული დადგენილება, რომელიც ენერგეტიკის დარგში ქვეყნის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს. დადგენილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოებაა. ასოციირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს ვალდებულება ეკისრება განახორციელოს ინსტიტუციური ცვლილებები და მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ძირითადი პრინციპები, რომელსაც ხელშეკრულება ეფუძნება, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ადამიანის უფლებები და მათი დაცვა, დემოკრატიულობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება. ასოციირების ხელშეკრულებაში ენერგეტიკა ორ კარშია ნახსენები: 1. მე-4 კარის მე-11 თავში, რომელიც

ენერგორესურსებით ვაჭრობას ეხება, კერძოდ: ღია და კონკურენტული ბაზარი, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება და ვაჭრობის სხვა საკითხები; 2. მე-6 კარის მე-2 თავში, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით: ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება და სტაბილურობა, ენერგოეფექტური სტანდარტების დანერგვა და ენერგოეფექტურობის ზრდა, გამჭვირვალობა, განახლებადი ენერჯის ზრდა, გარემოზე ნაკლები ზიანის მიყენება, მხარეებს შორის თავისუფალი ტრანზიტი და ენერჯის უსაფრთხო მიწოდება. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მე-11 თავში ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებასთან მიერთებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სწორედ მასშია ასახული ევროპული ენერგეტიკული დირექტივები და კანონები. აქვე ხაზგასმით, წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებას. ამიტომაც, საჭირო გახდა სიღრმისეულად შეგვესწავლა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო აქტები, 2017) ოქმი, რომელიც 2017 წელს შევიდა ძალაში. იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ენერგეტიკის დეკლარირებულ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს ენერგეტიკის დარგში აუცილებლად შესასრულებელ საგნობრივ დირექტივებს. ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან დოკუმენტის ძალაში შესვლამდე და შემდგომ, ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან მიერთებამდე არსებობდა გარკვეული კონტრუბი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში უნდა ემოქმედა. საბოლოოდ კი მან ჩამოყალიბებული სახე ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთებით მიიღო. ამით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაეკისრა ოქმით აღებული ვალდებულებების დროული შესრულების პასუხისმგებლობა.

ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი პუნქტის შესრულებით, რომელიც საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებასთან მიერთებას გულისხმობდა, ძალაში შევიდა მესამე ენერგეტიკული პაკეტი. ამ პაკეტის მიზანია ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია, სტრუქტურულ სირთულეებთან გამკლავება და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან. მოცემული პაკეტით ხელმძღვანელობენ ევროინტეგრაციის გზაზე მდგომი სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ენერგეტიკულ პოლიტიკას ევროპული ვექტორით აწარმოებენ. ამასთანავე, აღნიშნული პაკეტი გულისხმობს კონკრეტული რეგულაციებისა და დირექტივების შესრულებას, ევროპულ სტანდარტებზე გადასვლის დასაჩქარებლად.

კვლევის შემდგომი ეტაპი ეფუძნება ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის გაცნობას, რომელზე დაყრდნობითაც მიღებული ეროვნული სამოქმედო გეგმებით შემდგომში ვიხელმძღვანელოთ. მოგვხსენებათ, დღის წესრიგი წლების მიხედვით იცვლებოდა, მაშასადამე, ენერგეტიკული პოლიტიკის ტენდენციები განსხვავებული იყო, თუმცა იგი ერთ-ერთ მთავარ მიზანს ემსახურებოდა, საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობის რეფორმირებას. აღსანიშნავია, რომ 2016-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმების გასაანალიზებლად, გამოყენებული იქნა (კვირკვია, სუმბაძე, 2020) კვლევა, ხოლო 2019-

2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმები შევისწავლეთ პირველად მონაცემთა ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული გეგმები ითვალისწინებენ შემდეგ მიმართულებებს:

- საქართველოს კანონპროექტის განხილვა („შენობის ენერგოეფექტურობის შესახებ“; „ენერგოეფექტურობის შესახებ“; „ენერგოეტიკეტირების შესახებ“);
- საკანონმდებლო ცვლილების განხილვა („ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ“; „ეკოლიზინის მოთხოვნების წესების შემოღებასთან დაკავშირებით“; „ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ეტიკეტირების წესების შემოღებასთან დაკავშირებით“; „საბურავების ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით“; „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებასა და გამოყენების წახალისებაზე“);
- „ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვა“.

პარალელურად, სიღრმისეულად იქნა შესწავლილ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016-2019 და 2020-ის (6 თვის) წლების სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები, რომლებიც გამოვითხოვეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ამის საფუძველზე, გამოიკვეთა ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა ენერგეტიკულ სფეროში, რომელსაც შემდგომ ნათელსაყოფად დაერთო საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ენერგეტიკული კანონმდებლობის დეტალური მიმოხილვა ნაკისრ ვალდებულებებთან მიმართებაში. კვლევაში დიდი ყურადღება ეთმობა ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს, რომელშიც საქართველოს 2020 წლის ენერგეტიკული პოლიტიკაა მიმოხილული და ეფუძნება საქართველოს მიერ ენერგეტიკულ სექტორში 2015 წლის შემდგომ გადადგმულ ნაბიჯებს (IEA, 2020). როგორც ანგარიშშია აღნიშნული, საქართველომ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია მდგრადი სისტემის განვითარებისა და ენერჯის უწყვეტი მიწოდების კუთხით. აგრეთვე, დადებითადაა შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები გარემოს დაცვითი და კლიმატური ცვლილებების გამონწვევასთან ბრძოლაში.

ვინაიდან ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გაზრდას გულისხმობს, კვლევის ფარგლებში გ.ზაჩმანის მიერ შემოთავაზებული ძირითადი სამი ინდიკატორით ვიხელმძღვანელებთ: იმპორტზე დამოკიდებულება, ენერგომომწოდებლის დივერსიფიკაცია, ენერგეტიკული რეზერვები და მათი მოცულობა. შევეცადეთ დაგვედგინა, თუ რა მდგომარეობა აქვს სახელმწიფოს ამ კუთხით. იმპორტზე დამოკიდებულების გასაზომად, საქსტატის მიერ გამოქვეყნებული 2016-2019 წლების საქართველოს აგრეგირებული ენერგეტიკული ბალანსების მიხედვით განისაზღვრა იმპორტირებული ენერგორესურსების წილები. ენერგოდივერსიფიკაცია ბუნებრივი აირის კუთხით გაანალიზდა სემეკის 2019 წლის საქმიანობის ანგარიშზე დაყრდნობით, ხოლო ელექტროენერჯის მიმართულებით – „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი-საქართველოს ენერგოსისტემის ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის სტატისტიკა 2017-2021“-ზე დაყრდნობით.

კვლევის შემდგომ ნაწილში შედარებისთვის შევარჩიეთ უკრაინა, ვინაიდან საქართველოს მსგავსად იგი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანაა და მათ ერთდროულად მოაწერეს ხელი

ასოცირების ხელშეკრულებას. ევროკავშირის წინაშე ასოცირების შეთანხმებითა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაში თითქმის ერთნაირია. ძირითადი პრინციპები, რომლითაც მხარეები ენერგეტიკული პოლიტიკის დაგეგმვისა თუ განხორციელებისას ხელმძღვანელობენ გახლავთ: ენერგოეფექტურობა, ენერგოუსაფრთხოება, ელექტროენერგეტიკული სექტორი, განახლებადი ენერჯია და სხვ. თუმცა არსებობს კონკრეტული მიმართულებები, მაგალითად, ემისიების შემცირება, რომლის კუთხითაც უკრაინას უფრო აქტიური პოლიტიკის გატარება ევალება. მისი ენერგეტიკული რესურსების მოძიების ხასიათიდან გამომდინარე (ქვანახშირის დიდი რაოდენობით წვა).

კვლევის დროს ის მნიშვნელოვანი მომენტები, რომლებიც დამატებით ახსნა-განმარტებასა და პროფესიულ ხედვას საჭიროებდა, ენერგეტიკის დარგის ექსპერტის მოსაზრებებითაა გამყარებული.

მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის ემპირიულ ნაწილს. კერძოდ, ამ კუთხით გაანალიზდა ენერგეტიკულ სექტორში შესაბამისი უწყებების მიერ მომზადებული საჯაროდ ხელმისაწვდომი გეგმები, სტრატეგიები, სტატისტიკური მონაცემები და ანგარიშები. ასევე სიღრმისეულად გაანალიზდა როგორც ევროკავშირის, ისე საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობა. კვლევა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რამდენად ეფექტურად ხდება ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ენერგეტიკის სფეროში. საკვლევი საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის გამოყენებულია კონკრეტული მაგალითის შესწავლის (ე.წ. Case Study-ის) მეთოდი და შედარებითი ანალიზის გარკვეული ელემენტები, აგრეთვე ჩატარდა ექსპერტული ინტერვიუ ენერგეტიკის დარგის ექსპერტთან.

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა ემყარება რამდენიმე ძირითად მიმართულებას, რომელიც გამოხატულია 2015 წელს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში. სწორედ იგი განსაზღვრავს ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის კურსს, რომლითაც სახელმწიფო ხელმძღვანელობს მომავალ წლებში. ძირითადი მიმართულებებია: „ენერჯის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური ათვისება და რეზერვების შექმნა; საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება; საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება; საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარება და ენერჯით ვაჭრობის მექანიზმის გაუმჯობესება; საქართველოს, როგორც რეგიონის სატრანზიტო ქვეყნის, როლის გაზრდა; საქართველო – სუფთა ენერჯის წარმოების და ამ ენერჯით ვაჭრობის რეგიონული ცენტრი; ენერჯო ეფექტიანობისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება და განხორციელება; ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი კომპონენტების გათვალისწინება; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებლის ინტერესების დაცვა.“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2015)

ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნები

ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირის წინაშე მდგარი გამოწვევები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა იმპორტის გაზრდა, შემლუღული დივერსიფიკაცია, მაღალი და არასტაბილური ენერჯის ფასები, გლობალური ენერჯის მოთხოვნილება, უსაფრთხოების რისკები მწარმოებელ და სატრანზიტო ქვეყნებზე, კლიმატის ცვლილების მზარდი საფრთხეები და დეკარბონიზაცია. სწორედ ამ საფრთხეების შემცირებისკენაა მიმართული ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა. ლისაბონის სამიტის (European union Law, 2007) შემდგომ, რომელიც 2007 წელს ჩატარდა და შეეხებოდა ევროკავშირის საკონსტიტუციო საფუძვლის შექმნას, ევროკავშირისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მდგრადი განვითარება იქცა, რომლის მიღწევაც ენერგეტიკულ სექტორში კონკრეტული მიმართულებების პროგნოზითაა შესაძლებელი. კერძოდ, ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს ენერგეტიკის ინტეგრირებული ბაზრის მიღწევას, ენერგოეფექტურობის ზრდას, განახლებად ენერჯიებს, ენერგომომარაგების უსაფრთხოებასა და მდგრადი ენერგეტიკული სექტორის ჩამოყალიბებას. (European Parliament , 2020) აღნიშნული პრიორიტეტები მნიშვნელოვანია არამხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის, არამედ მისი მემობელი ქვეყნებისთვისაც, ვისაც სურს მასში ინტეგრაცია. რატომაა მნიშვნელოვანი ევროკავშირისათვის საქართველოსთან ენერგეტიკული თანამშრომლობა? ენერგეტიკული საკითხების ჩადება ასოცირების ხელშეკრულებაში ევროკავშირის მხრიდან განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: „ენერგეტიკაში ევროკავშირისთვის საქართველოს პარტნიორობა მნიშვნელოვანია რეგიონალური პროექტების განხორციელების მიზნით. ყველა გაზისა და ნავთობის პროექტი, საბოლოოდ ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს გავლით მოხვდება. ასევე, მომავალში იგეგმება, რომ ელექტროენერჯის ექსპორტი შავი ზღვის კაბელის საშუალებით ევროპაში გავითანოთ, რაც ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია და ჩვენი წარმოებული მწვანე ენერჯია მაღალ ფასში გაიყიდება ევროპაში. ევროპისთვის კი ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათ მწვანე ენერჯის კუთხით კონკრეტული ვალდებულება აქვთ და თავიანთ ტერიტორიაზე პოტენციალური თითქმის ათვისებულია“ (ექსპერტი).

2016-2020 წლებში განვლილი გზა: ნაბიჯები ევროპული ენერგეტიკისაკენ
 საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც წინდახედულად და სტრატეგიულად უნდა მიმდინარეობდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო საკანონმდებლო ჩავარდნები.

ფასების გამჭვირვალობის კუთხით აღსანიშნავია, 2008/92/EC დირექტივით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რომელიც ევროსტატისათვის (EUROSTAT) ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ფასების მიწოდებას ითვალისწინებდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური როგორც წლიურ, ასევე სემესტრულ მონაცემებს უგზავნის ევროსტატს. ევროდირექტივის შესრულებით ენერჯიაზე დანესებული ფასები გახდა მეტად გამჭვირვალე, რაც კონკურენტული ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა. მნიშვნელოვანია ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯების აღნიშვნა,

ვინაიდან იგი ენერგეტიკული მდგრადობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია. აღნიშნული მიმართულებით, რეგიონული ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში განხორციელდა ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სამუშაოები. მაგალითად, 500 კილოვატიანი გადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს მშენებლობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, 2016 წელს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის შემუშავდა პროგრამა „EU4ENERGY“, (EU NEIGHBOURS, 2020) რომლის ფარგლებშიც განხორციელდა არაერთი პროექტი. ამ პროგრამის მხარდაჭერით აშენდა ქარის პირველი ელექტროსადგური „ქართლი1“, რომლის დადგმული სიმძლავრე 20,7 მგვტ-ს შეადგენს, რაც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას უწყობს ხელს. მართალია საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა ინტრასტრუქტურის კუთხით სუსტი არ არის, თუმცა საჭიროა მისი უფრო მეტად გააქტიურება. აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა და რესურსების მაქსიმალურად ათვისება, რათა ქვეყანამ ენერგოუსაფრთხოება წინ წაწიოს.

2019-2020 წლებში საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს, ენერგეტიკული კანონმდებლობების დამტკიცების კუთხით, რაც თავის მხრივ ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთების ოქმით განსაზღვრული უმნიშვნელოვანესი ღირებულებებისა და რეგულაციების მოთხოვნათა შესრულებას ითვალისწინებს.

ამ წლებში ძალაში შევიდა შემდეგი კანონები:

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონი (საქართველოს პარლამენტი, 2019)

იგი მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ქვეყნის ევროინტეგრაციას, ვინაიდან მოიცავს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ბევრი ვალდებულების ერთობლივ შესრულებას. ასევე, 2020 წლის 28 იანვარს ცვლილებები შევიდა ელექტროენერჯის ტარიფების დადგენილებასა და ბაზრის წესებში, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულებაა. გარდა ამისა, დამტკიცდა ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია და გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების წესი.

2009/28/EC ღირებულებით მიღებულ იქნა განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების ნახალისების შესახებ კანონი (საქართველოს პარლამენტი, 2019) და დამტკიცდა ამ კანონით გათვალისწინებული შემდეგი კანონქვემდებარე აქტები:

- „განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის ჰარმონიზებული ნიმუშის მინიმალური მოთხოვნების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტი, 2020);
- „თბური ტუმბოებიდან მიღებული ენერჯის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტი, 2020);
- „ჰიდროენერჯისა და ქარის ენერჯისგან გამომუშავებული ელექტროენერჯის აღრიცხვის ნორმალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტი, 2020);

- „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოთვლის მეთოდოლოგია“ (საქართველოს პარლამენტი, 2020).

განახლებადი ენერჯის წახალისება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელსაც ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს. ამ კონკრეტული მიმართულებით თავად ევროკავშირი აქტიურ პოლიტიკას ატარებს. საქართველოსათვის აღნიშნული სამართლებრივი ბერკეტები, ევროკავშირის ენერჯეტიკულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოცემული დირექტივა საქართველოს 2018 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შეესრულებინა, მაგრამ პროცესი გაჭიანურდა და მისი განხორციელება დაგვიანდა. საბოლოოდ კი, იგი მიღებულ იქნა 2020 წლის 20 დეკემბერს.

- ენერჯეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონი (საქართველოს პარლამენტი, 2019) (2010/30/EU);
- ენერჯეფექტურობის შესახებ საქართველოს კანონი (საქართველოს პარლამენტი, 2020) (2012/27/EU);
- შენობების ენერჯეფექტურობის შესახებ საქართველოს კანონი (საქართველოს პარლამენტი, 2020) (2010/31/EU).

აღნიშნული კანონპროექტების მიღება ენერჯეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით განხორციელდა (2019-2020). ენერჯეფექტურობა დედამიწაზე არსებული ენერჯების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების საშუალებაა, როგორც გარემოზე ზემოქმედების, ასევე საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიზნით. XXI საუკუნის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა ენერჯეტიკის სფეროში, სწორედ ენერჯეფექტურობაა. ენერჯეფექტურობის მიღწევა დღითიდღე აქტუალური საკითხი ხდება ევროკავშირისათვის, იმ მზარდი ენერჯე მოხმარების გათვალისწინებით, რომელიც ევროკავშირში ბოლო რამდენიმე ათწლეულში შეინიშნება (European Commission, 2020). ენერჯეფექტურობა არის ზრდადი ენერჯე მოხმარების შეზღუდვისა და მართვის გზა. ენერჯეფექტურობის კუთხით 2019-2020 წლებში საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები მართლაც რომ მნიშვნელოვნად აახლოებს მას ევროკავშირთან. აღსანიშნავია, რომ ეს სამივე კანონი საქართველოს პარლამენტმა ვადაგადაცვილებით (რამდენიმე თვე, შემთხვევის და მიხედვით) დაამტკიცა. კანონები განსაზღვრავს ენერჯეფექტურობის განხორციელების საჭირო ღონისძიებების ზოგად სამართლებრივ საფუძველს; მიმართულია ენერჯეფექტურობის გაზრდისაკენ და ითვალისწინებს ენერჯეფექტურობის პოლიტიკის ღონისძიებების ჩამოყალიბებას ენერჯის დაზოგვის მიზნით. „ენერჯე-კალათაში ჰიდროელექტროსადგურების დიდი წილის არსებობის წყალობით, საქართველოს CO2 გამოყოფის ინტენსივობა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. ენერჯეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის პოპულარიზაცია საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.“ (Green Economic Financing Facility, 2020) და მაინც, როგორ შეიცვალა ენერჯეფექტურობის ხარისხი საქართველოში 2016 წლიდან დღემდე? „აღნიშნულზე პასუხის გაცემა ძნელია შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე. 2020 წლამდე ჩვენ მიღებული არ გვქონდა კანონები, რომელიც ენერჯეფექტურობის კუთხით კონკრეტული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას მოგვცემდა. ამიტომ ამის შეფასება რთულია, თუმცა ერთი კი ცხადია,

რომ მიღებული გვაქვს როგორც ენერგოეფექტურობის, ასევე შენობებში ენერგოეფექტურობის შესახებ კანონი, ენერგოეტიკეტირების შესახებ კანონი, ასევე მიმდინარეობს მუშაობა კანონქვემდებარე აქტებისა და სამოქმედო გეგმების კუთხით. სწორედ აღნიშნულით მოხდება ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი შედეგიც არ დააყოვნებს. შედეგი ნაკლები ენერჯის მოხმარება და იმპორტირებულ სათბობზე დამოკიდებულების შემცირებაა, რაც ენერგეტიკული დამოუკიდებლობის წინაპირობაა“ (ექსპერტი). აღსანიშნავია პრინციპული გარემოება, რომ სამოქმედო პოლიტიკა წლების მიხედვით განსხვავებულია. ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლით საქართველო არა მხოლოდ ენერგეტიკულ, არამედ, ყველა სფეროში შეეჭიდა ურთულეს პროცესებს. კონკრეტულად ენერგო სექტორში 2016-2018 წლები შეიძლება შეფასდეს, როგორც საფუძვლის მომზადების წლები, რომელზეც სამომავლოდ ევროკავშირიდან გადმოტანილი ენერგეტიკული კანონმდებლობა უნდა დაშენდეს. სწორედ ამ წლებში მიმდინარეობდა დოკუმენტების გასწორება, საჯარო განხილვები, ნორმატიული აქტების შემუშავება, ელექტროენერჯის უსაფრთხოების წესების შემუშავება, ფასების გამჭვირვალობის კუთხით მუშაობა და სხვა. 2019-2020 წლიდან კი უფრო ინტენსიურად გრძელდება ჰარმონიზაციის პროცესი. უშუალოდ ხდება კონკრეტული ღირებულებისა და რეგულაციების შესრულება. ჩამოყალიბდა ბაზრის მოდელის კონცეფცია, გადაიდა უაღრესად დიდი ნაბიჯები ენერგოეფექტურობის კუთხით. ასევე, შედგა სამოქმედო გეგმები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოცემულ წლებში ღირებულების გათვალისწინებულ ვადებში შესრულება ვერ ხერხდებოდა და ხდებოდა დაგვიანებით. ეს კი, თავის მხრივ იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს არც გამოცდილება ჰქონდა მსგავსი მიმართულებით ასე ინტენსიურად მუშაობისა და პრობლემა იყო ადამიანური რესურსების შეზღუდულობაც. როგორც დარგის ექსპერტი აფასებს, ასოცირების ხელშეკრულების შესრულებისას ენერგეტიკის სექტორში გაჩნდება გამოწვევები: „გფიქრობ, რომ მეტი ადამიანური რესურსია საჭირო, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი მიმართულებების იმპლემენტაციას ენერგეტიკაში. ასევე რეგიონის თავისებურებები, ჩვენი მეზობელი ქვეყნები ენერგეტიკულად არ წარმოადგენენ ევროპულ ქვეყნებს და ეს ახალი რეფორმების განვითარების ეტაპზე გარკვეული გამოწვევაა (მაგალითად, შეიძლება ელექტროენერჯით ვაჭრობისას ვერ მოხერხდეს ისეთი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, როგორცაა მწვანე ენერჯიებით ვაჭრობა ქვეყნებს შორის და სხვა. როდესაც ევროპული ქვეყანა გყავს მეზობელი, ამ ტიპის საქმიანობა საერთო სტანდარტით ხდება“ (ექსპერტი). მაგალითად, უკრაინას თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, საქართველოსგან განსხვავებით, ხელს უწყობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ენერგოკავშირის უფრო მარტივად დამყარებაში. მისგან ექსპორტზე გადის ელექტროენერჯია, რაც, ბუნებრივია, აჩქარებს ევროინტეგრაციის პროცესს. მართალია საქართველო არ არის ევროკავშირში ენერჯის ექსპორტიორი ქვეყანა, თუმცა მას აქვს პოტენციური იქცეს ენერგეტიკულ ხიდად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინას ბევრად დიდი ენერგეტიკული რესურსები გააჩნია ვიდრე საქართველოს, რაც მას საშუალებას აძლევს ნაკლებად იყოს დამოკიდებული იმპორტირებულ ენერჯიაზე, განსხვავებით საქართველოსაგან. ამ ყველაფერს კი 2020 წელს კორონა ვირუსის ფაქტორიც დაემატა, რომელმაც მკვეთრად შეაფერხა პროცესი, ვინაიდან სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტად მოსახლეობის ჯანმრთელობა იქცა. რომ შევაჯამოთ, ენერგეტიკის სფეროში, ნაკისრი ვალდებულებების

შესრულება მცირედი დაგვიანებით მოხდა, თუმცა ამას გავლენა არ ექნება საბოლოო შედეგზე, ვინაიდან პროცესი გრძელდება და ეს მნიშვნელოვანია. მაშასადამე, საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დინამიკა თანმიმდევრულია და უნდა ჩაითვალოს, რომ შედეგს დებს. აღსანიშნავია, რომ უკრაინის ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელების პროცესი საქართველოსთან შედარებით არასტაბილური და არათანმიმდევრულია. პროცესის ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა სახელმწიფოებში განსხვავებული პოლიტიკური წესრიგი და სისტემის განვითარების გზა. 2013 წელს ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები (იგულისხმება პრემიერდენტ იანუკოვიჩის გადაყენება), მიუთითებს უკრაინის პოლიტიკური სისტემის რეველუციურ ხასიათზე, რომელიც საქართველოს შემთხვევაში დემოკრატიულია. შეგახსენებთ, რომ ვიქტორ იანუკოვიჩმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების გეგმა 2013 წელს გააუქმა, რამაც ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა. აგრეთვე, პროცესს აფერხებს ის ფაქტორიც, რომ ენერგეტიკული სექტორის დიდი ნაწილი უკრაინაში ოლიგარქების გავლენის ქვეშ არის მოქცეული. (ბაირამოვი & მარუსიაკი, 2019) აღსანიშნავია უკრაინის მიერ ევროკავშირის წინაშე ენერგეტიკულ სფეროში კონკრეტულ ვადებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. საქართველოს მსგავსად უკრაინასაც აქვს ვადებში გადაცდომები. ამას მოწმობს ღირეფტივა ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელიც უკრაინის მხარეს ასახული უნდა ჰქონდეს კანონმდებლობაში, თუმცა ცვლილებები ჯერაც არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა რამოდენიმე წლით ადრე მიუერთდა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, ვიდრე საქართველო და იმის, მიუხედავად, რომ მას ქართული მხარის მსგავსად მიღებული აქვს ენერგოეფექტივობისა და ენერგოეფექტური შენობების შესახებ კანონები, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირის ქვეყნებს ენერგოეფექტურობის კუთხით. ეს კი, ცხადია, ევროგაერთიანებაში ინტეგრაციის საერთო სურათზე ცუდად აისახება.

როგორია საქართველოს ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკა?

ენერგეტიკის სფეროში გატარებული პოლიტიკა საბოლოო ჯამში ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას ემსახურება. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდება ენერჯის სხვადასხვა სახეების ხარისხიანი და უწყვეტი მიწოდებით ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე. ენერგოუსაფრთხოება მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის, ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ევროინტეგრაციისათვისაც. ენერგეტიკის სფერო გარკვეულწილად ქვეყნის ეროვნული ღირებულებებისა და ეროვნული ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს. იგი ამას ახერხებს ენერჯის სხვადასხვა სახეების საკმარისი რაოდენობის უწყვეტი და ხარისხიანი მიწოდებით ხელმისაწვდომ ფასად. აღსანიშნავია, რომ ენერგოსექტორის კონტრიბუცია ეკონომიკურ მდგრადობასა თუ განვითარებაში უაღრესად დიდია. ენერგოუსაფრთხოება განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი ინდიკატორით (ზაჩმანი, 2014). ესენია: ენერგო მომწოდებლების დივერსიფიკაცია, რაც თავის მხრივ ნაკლებად დამოკიდებულს ხდის ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე სახელმწიფოს; იმპორტზე დამოკიდებულება, იგულისხმება თუ რამდენად არის

დამოკიდებული კონკრეტული სახელმწიფო იმპორტირებულ ენერგიაზე; სახელმწიფოში არსებული ენერგეტიკული რეზერვები და მათი მოცულობა.

ვინაიდან ევროკავშირის მხრიდან ენერგომომარაგებლის ენერგოსაფრთხოებას დიდი ყურადღება ეთმობა, რადგან თვითონაც მასზეა დამოკიდებული, საქართველოსთვის კი პირდაპირ გეოპოლიტიკურ ფუნქციას იძენს და მისი უსაფრთხოების ერთ-ერთ ქვაკუთხედად წარმოჩინდება, მნიშვნელოვნად მივიჩნით აღნიშნული ინდიკატორებით საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების კვლევა, რათა ქვეყნის ზოგადი ენერგეტიკული პოლიტიკის ლანდშაფტი მარტივად აღქმადი გამხდარიყო. წარმოგიდგინო ცხრილს, რომელიც ასახავს საქართველოში იმპორტირებულ ენერგორესურსთა წილებს.

ცხრილი #1 საქართველოში იმპორტირებული ენერგორესურსების წილები (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი) (საქსტატი 2016-2019)

დასახელება/წელი	2017	წილი	2018	წილი	2019	წილი
იმპორტი	3822,9	100%	3884,6	100%	4173,4	100%
ქვანახშირი	192,8	5,04%	268,7	6,92%	254,3	6,09%
ნედლი ნავთობი	60,5	1,58%	2	0,05%	9,2	0,22%
ნავთობპროდუქტები	1466,7	38,37%	1478,3	38,06%	1449,2	34,72%
ბუნებრივი გაზი	1952,3	51,07%	2004,7	51,60%	2309,1	55,33%
ბიო საწვავი და ნარჩენები	0	0,00%	0	0,00%	0	0,00%
ელექტროენერჯია	150,6	3,94%	130,9	3,37%	151,6	3,63%

საქართველოს არ შესწევს ძალა, უზრუნველყოს საჭირო ენერჯის მიწოდება სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად. მიუხედავად იმისა, რომ იზრდება მოთხოვნა ენერგორესურსებზე, კონკრეტულად კი ბუნებრივ გაზზე, საქართველო ვერ ახერხებს გაზმომარაგების სისტემის სწრაფ დივერსიფიკაციას. ბუნებრივი გაზის საერთო მოხმარების 99,8% იმპორტირებულია, რომელშიც ძალიან დიდი წილი აზერბაიჯანს უჭირავს.


ცხრილი #2 საქართველოში გაზის მიღება, მიღების პუნქტების მიხედვით (მლნ. მ) (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია, 2019)

ბუნებრივი გაზის მიღების პუნქტი	2016	წილი	2017	წილი	2018	წილი	2019	წილი
აზერბაიჯანი	1321	58,43%	1200	51,19%	1105	48,34%	1229	47,41%
რუსეთი	122	5,39%	135	5,76%	39	1,7%	162	6,25%
სომხეთი	19	0,85%	0	0%	15	0,66%	0	0%
სამხრეთ კავკასიის დამატებითი და ოფციური	792	35,03%	821	35,02%	822	35,95%	853	32,9%

მილსადენი	იმპორტი	0	0%	180	7,68%	296	12,95%	339	13,08%
ადგილობრივი მოპოვება		6	0,27%	8	0,34%	9	0,39%	9	0,35%
სულ		2261	100%	2344	100%	2286	100%	2592	100%

იმპორტირებული გაზის თითქმის ნახევარი აზერბაიჯანიდან შემოდის. აგრეთვე იმპორტირებული ელექტროენერჯის უმეტესი წილი ქვეყნებს შორის აზერბაიჯანულ მხარეს უჭირავს (იხ. დიაგრამა).

დიაგრამა #1 ელექტროენერჯის იმპორტი ქვეყნების მიხედვით 2019წ. (მლნ. კვტ. სთ) (ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი, 2017-21)



შენიშვნა: სომხეთის პროცენტული მაჩვენებელია - 0,001%, რომლის პროცენტულ წილსაც დიაგრამა ვერ ასახავს.

საქართველო „სატელიტივითა“ მიბმული აზერბაიჯანულ რესურსებზე, რაც საფრთხის შემცველია ქვეყნის ენერგოსაფრთხოებისთვის. მზარდი მოთხოვნისა და იმპორტზე დიდწილად დამოკიდებულების პირობებში, იმის გათვალისწინებით, რომ ვერ ხერხდება ბუნებრივი გაზის მომწოდებლებისა და ზოგადად ენერჯეტიკული ბაზრების ჩქარი დივერსიფიკაცია, რათა გაუმჯობესდეს ქვეყნის ენერგოსაფრთხოება, საჭიროა, რომ უფრო დიდი დრო და რესურსი მოხმარდეს ამ სტრატეგიული პოლიტიკის გაძლიერებას. საქართველოს მაღალი ენერგო პოტენციალი მას ელექტროენერჯის წარმოების საშუალებას აძლევს, ამიტომ საჭიროა სახელმწიფომ ინვესტიციების მოზიდვა და არსებული ენერჯეტიკული რესურსების ათვისება მაქსიმალურად მოკლევადიან პერსპექტივაში განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ენერგოპოტენციალი ჰიდრორესურსების კუთხით დიდია და მისი დაახლოებით 20% გამოყენებული. აგრეთვე, ხაზი უნდა გაესვას ენერგოეფექტურ ღონისძიებებს, რომელსაც სახელმწიფო ატარებს. მისი შედეგი კი ქვეყნის ენერგოსაფრთხოებას გარკვეულწილად გაზრდის

იმ თვალსაზრისით, რომ შემცირდება იმპორტირებულ სათბობზე დამოკიდებულება ნაკლები ენერჯის მოხმარების ხარჯზე. საბოლოოდ, კი ამ მიმართულებით მუშაობის ნაწარმად მივიღებთ ენერგეტიკულ მდგრადობასა და ენერგოდამოუკიდებლობას, რომელიც ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობას ენერგეტიკის სფეროში შეუქცევადს გახდის.

5. ასოცირების ხელშეკრულება და ენერგეტიკული პოლიტიკის პერსპექტივები

შესწავლილი ენერგეტიკული პოლიტიკა და მისი დინამიკა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან დღემდე, საშუალებას იძლევა გაკეთდეს პროგნოზი, თუ რა ტემპით შეიძლება გაგრძელდეს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა სტაბილური და თანმიმდევრული ხასიათისაა. მიდგომა, რომელიც სახელმწიფოს არჩეული აქვს, შედეგს იძლევა და ამას მიღებული კანონები თუ კანონქვემდებარე აქტები მონაბეზენ. კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების დანერგვა აგრეთვე ეტაპობრივად ხდება, რაც ქვეყნის მდგრად განვითარებას უწყობს ხელს (ენერგეტიკული ინსტრასტრუქტურა, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯიები, თუ სხვა). ამის საწინააღმდეგოდ, ადამიანური რესურსების სიმცირისა და საკითხის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, გვიანდება ღირებულების შესრულების პროცესი, რის საფუძველზეც კრიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მოთხოვნათა დროული ვერ შესრულება შეიძლება ნიშნავდეს სამომავლოდ განსახორციელებელი ღირებულების არ ან ვერ შესრულებას. ჩვენი ხედვა კრიტიკოსთა აზრისგან განსხვავებულია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ევროპული მხარე მისი უბადლო კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მუშაობას ენერგეტიკულ სექტორში, უარყოფითად არ აფასებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქართველო მეორადი ენერგეტიკული კანონმდებლობის შემუშავების პროცესში იმყოფება, რასაც ევროდირექტივებზე დაყრდნობით ახორციელებს. პროგნოზი, თუ როგორია საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პერსპექტივაში შესრულება, შემდეგია: ქართულ მხარეს პროგრესი ექნება და არ ჩამორჩება ახლანდელ გრაფიკს, იგი მიდის სტაბილურად და კარგად. ამას მონაბეზს საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) კვლევაც, რომელშიც აღნიშნულია: მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა ასოცირების ხელშეკრულება (2016 წელი) და 2017 წელს საქართველო მიუერთდა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი იურიდიული და ინსტიტუციური რეფორმები გაატარა, რაც გამოიხატება მთავრობის მიერ ვალდებულებების შესრულებაში: ენერგეტიკის სექტორი შეუსაბამოს ევროკავშირის რეგულაციებს ელექტროენერჯისა და გაზის ბაზრებისთვის, მიწოდების უსაფრთხოების, განახლებადი ენერჯიის, ენერგოეფექტურობისა და სტატისტიკის კუთხით. ენერგეტიკის სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც ორიენტირებულია ლიბერალური გარემოს შექმნაზე მინიმალური სახელმწიფო ჩარევის, დერეგულაციის, პრივატიზაციის, შემცირებული და გამარტივებული ლიცენზირებისა, დაბეგვრისა და თავისუფალი ვაჭრობის პირობებში. ეს ქვეყანას "ვარსკვლავური რეფორმატორის" რეპუტაციას უქმნის.

დასკვნა

კვლევის შედეგად, გამოიკვეთა ის ძირითადი მიღწევები და გამონწვევები, რაც საქართველოს ენერგეტიკულ სექტორს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მონერიდან დღემდე აქვს. ვალდებულებების დიდი ნაწილი სრულდება. მათი განხორციელების პროცესში ჩნდება გამონწვევები, იმ ორი თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გამოცდილება და განიცდის ადამიანური რესურსების ნაკლებობას. მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციების შესრულება ამ შემთხვევაში კი, კონკრეტული კანონების შემუშავება და მიღება ცოტა მოგვიანებით მოხდა, ვთვლით, რომ საბოლოოდ ეს გადაცდომები საერთო სურათზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ვერ იქონიებენ და პირიქით, ისინი დიდწილად ხელს უწყობენ ენერგეტიკის პოლიტიკის სრულყოფას. მიგვაჩნია, რომ მოკლე პერიოდში ენერგეტიკის განვითარება დიდ წინაღობებთანაა დაკავშირებული, რომლის გადალახვაც იმ გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ფონზე, ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველოა, რთულია, თუმცა არა- შეუძლებელი. ამისათვის კი ვთვლით, რომ ენერგოუსაფრთხოების კუთხით ინტენსიური პოლიტიკის გატარებაა საჭირო. მოცემული ტემპი იმედის მომცემია და არსებობს საფუძვლიანი პროგნოზი, რომ ენერგოურთიერთობების გაღრმავება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, შეუქცევადს გახდის საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს. როგორც ფაქტები მონიშნავენ, ევროკავშირი თავისივე წაყენებული მოთხოვნების შესრულებაში საქართველოს დიდ დახმარებას უწევს. მისთვის საქართველო, ევროპული ღირებულებების მატარებელი, სანდო და მნიშვნელოვანი პარტნიორია, რაზე დაყრდნობითაც მას იგი აღმოსავლეთიდან წამოსული ენერჯის გზამტარად ევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ასოცირების ხელშეკრულება- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

„ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმი-<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3757843?publication=0>

Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, signed at Lisbon, 13 December 2007- <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12007L%2FTXT>

პროექტი „EU4ENERGY“-<https://www.euneighbours.eu/en/east/stay-informed/projects/eu4energy-programme> (ნანახია 05.01.2021)

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“-
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2894951?publication=0>

საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“-
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747785>

საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონი“- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737753?publication=1>

საქართველოს კანონი „ენერგოეტიკეტირების შესახებ“-
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4745123?publication=1>

საქართველოს კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ“-
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873938?publication=0>

საქართველოს კანონი „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“-
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873932?publication=0>

European Commision (15.09.2020) Statistical Pocket Book 2020- “EU Energy in figures”
https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/87b16988-f740-11ea-991b-01aa75ed71a1/language-en?WT.mc_id=Searchresult&WT.ria_c=37085&WT.ria_f=3608&WT.ria_ev=search
(ნანახია 18.01.2121)

European Parliament (2020) “ENERGY POLICY: GENERAL PRINCIPLES”
https://www.europarl.europa.eu/ftu/pdf/en/FTU_2.4.7.pdf (ნანახია 12.04.2021)

2016-2019 წლების საქართველოს აგრევირებული ენერგეტიკული ბალანსები, საქსტატი-
<https://www.geostat.ge/ka/single-categories/118/sakartvelos-energetikuli-balansi> (ნანახია 09.01.2021)

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია, „2019 წლის საქმიანობის ანგარიში“. თბილისი 2020-

<https://gnerc.org/files/Annual%20Reports/2019%20GEO.pdf>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო-

<https://mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/asocirebis-dgis-cesrigis-angarishebi/2016-AA-Monitoring.pdf.aspx>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო-

<https://mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/asocirebis-dgis-cesrigis-angarishebi/AA-NAP-2017-Short.pdf.aspx>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო-

<https://mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/asocirebis-dgis-cesrigis-angarishebi/AA-NAP-2018-mokle-angarishi-final.pdf.aspx>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. საქართველოს საგარეო საქმეთა

სამინისტრო-

<https://mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/asocirebis-dgis-cesrigis-angarishebi/2019-AA-Monitoring.pdf.aspx>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2020 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 6 თვის ანგარიში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო-

<https://mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/asocirebis-dgis-cesrigis-angarishebi/AA-NAP-PR-6Months-2020-Ka.pdf.aspx>

საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ-

https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/2019-2020-action-plan-of-the-parliament-of-georgia-for-the-imple.html

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (2020) კვირკვაია მ.

„სუმბაძე ნ. – „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით

საქართველოს მიერ 2014-2018 წლებში ენერგეტიკის სფეროში აღებული ვალდებულებების

შესრულების მდგომარეობის ანალიზი“ - <http://asocireba.ge/files/Kvirkvaia-Sumbadze-Energetika-2020.pdf>

საქართველოს სახელწმიფო ელექტროსისტემა, 2019-2020 წლების ანგარიში-

http://www.gse.com.ge/sw/static/file/2020-11-05_AR_2019-2020_Geo_for_Web.pdf

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგი-

<https://eqe.ge/res/docs/%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%982017-20201.pdf>

International Energy Agency (July,2020) Energy Policy Review “Georgia 2020” -

https://www.iea.org/reports/georgia-2020?fbclid=IwAR0WNbs8reOipG-WeYfUg3KyAm8JVNEOghIVcxB_tuJjDnOIgwUjVRTRFAA

Green Economic Financing Facility (2020) “საქართველო 2020: ენერჯეტიკული პოლიტიკის მიმოხილვა” - <https://ebrdgeff.com/georgia/georgia-2020-an-energy-policy-review/> (ნანახია 24.04.2021)

„გერმანიის ეკონომიკური გუნდი საქართველო“ (ოქტომბერი, 2014) ზაჩმანი გ. „საქართველოს ენერჯო უსაფრთხოება“ - https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2015/02/PP_01_2014_geo.pdf?fbclid=IwAR1UokManQ3nVcowBtFdeGT_ZPvQaL4JvMYfNpzgiORe32Q50cq99c5NpBg (ნანახია 09.01.2021)

„Eurasian Geography and Economics” (მარტი, 2019) ბაირამოვი ა. მარუსიაკი ი. „Ukraine’s unfinished natural gas and electricity reforms: one step forward, two steps back” - <https://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/15387216.2019.1593210?needAccess=true>

“Energy Policy” (ივნისი, 2012) ვინზერი კ. „Conceptualizing energy security” - <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0301421512002029>

“Humanities & Social Sciences Reviews” (ნოემბერი, 2016) სრევასტავა ბ. „ENERGY SECURITY: TODAY AND TOMORROW” - https://www.researchgate.net/publication/313829200_ENERGY_SECURITY_TODAY_AND_TOMORROW

„მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ (WEG) ფარგლებში (2017) მარგველაშვილი, მ. კვარაცხელია, თ. – ევროპის „ენერჯეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერჯეტიკაში - https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf?fbclid=IwAR0lj8q_ciGBvozbC9NEyduBltYuXjyTR8qYdJ6u8AKyIlMLx6qubu-XYIA

„მწვანე ალტერნატივა“ (2015) ქოჩლაძე მ. – „საქართველო და ევროპის ენერჯეტიკული გაერთიანება, ევროინტეგრაციის გამოწვევები“ - http://weg.ge/sites/default/files/sakartvelo_da_evropis_energetikuli_gertianeba-1.pdf

ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი-საქართველოს ენერჯოსისტემის ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის სტატისტიკა 2017-2021 წწ(მლნ კვტ.სთ) <https://esco.ge/ka/import-eksporti/by-year> (ნანახია 12.04.2021)

არაბიძე მ. (საექსპერტო ინტერვიუ -20.01.2021) ენერჯეტიკის დარგის ექსპერტი. ასოცირებული პროფესორი- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი(ენერჯეტიკული რეფორმებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)